სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

7 ნოემბერი 2023 ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 163

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ

„სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი ერთობლივი საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის N226/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N1502106, 07.11.2023) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი საგრანტო კონკურსი;
2. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა (შემდგომში ფონდი) და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი საგრანტო კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს ბიოგრაფიული მონაცემების (CV)-ს ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. კონკურსის კოორდინატორად განისაზღვროს ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის სპეციალისტი - ბათუ ქვარცხავა.

7. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს ამ ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
8. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე განთავსებისთანავე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი N64).

თეიმურაზ დოჭვირი

თ. დოჭვირი

<u>დანართი 1</u>

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2023 წლის 7 ნოემბრის N163 ბრძანებით

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი საგრანტო კონკურსის პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა (შემდგომში – ფონდი) და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის (შემდგომში – ცენტრი) ერთობლივი საგრანტო კონკურსი (შემდგომში – საგრანტო კონკურსი) ითვალისწინებს საქართველოს უნივერსიტეტების მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ცენტრში სამეცნიერო სტაჟირებას, რომელიც მიზნად ისახავს:

   ა) გააღრმაოს გერმანულ-ქართული სამეცნიერო თანამშრომლობა და ცენტრში სამეცნიერო სტაჟირების გავლის გზით ხელი შეუწყოს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (შემდგომში – უნივერსიტეტები) მაგისტრანტებისა და დოქტორანტების კვალიფიკაციის ამაღლებას;

   ბ) საქართველოს უნივერსიტეტების მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის შესაძლებლობის მიცემა ცენტრის სამეცნიერო ბაზაზე განახორციელონ ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევითი პროექტები;

   გ) ცენტრისათვის შესაძლებლობის მიცემა, მოიზიდოს საქართველოს უნივერსიტეტებიდან საუკეთესო მაგისტრანტები და დოქტორანტები სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებისათვის საჭირო კვლევების განსახორციელებლად;

   დ) ცენტრისა და გერმანიის სხვა სამეცნიერო დაწესებულებების (უნივერსიტეტების, ინსტიტუტების) მეცნიერებთან საქართველოს უნივერსიტეტების მაგისტრანტებისა და დოქტორანტების გრძელვადიანი თანამშრომლობის ხელშეწყობა.

2. სამეცნიერო სტაჟირების საგრანტო კონკურსში პროექტის წარდგენა შესაძლებელია შემდეგ სამეცნიერო სფეროებში:

   ა) მათემატიკური მეცნიერებები;

   ბ) საინფორმაციო ტექნოლოგიები;

   გ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;

   დ) საინჟინრო მეცნიერებები;

   ე) სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები.

3. კონკურსი ფინანსდება საქართველოს სახელმწიფოსა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ბიუჯეტებიდან და მის ადმინისტრირებას ახორციელებს ფონდი და ცენტრი ერთობლივად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის №226/ნ ბრძანების, ფონდსა და ცენტრს შორის დოქტორანტებისა და მაგისტრანტებისათვის იულიხ-საქართველო ერთობლივად დაფინანსებული პროგრამის შესახებ 2020 წლის 28 ივლისის შეთანხმებისა და ფონდის გენერალური დირექტორის წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული წესების შესაბამისად.

მუხლი 2. კონკურსში მონაწილე სუბიექტები და მონაწილეობის პირობები

1. კონკურსში მონაწილეობა და გრანტის მიღება შეუძლია საგრანტო კონკურსის გამოცხადების დღისათვის 30 წლამდე ასაკის მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტიდან, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტიდან ან საქართველოს სხვა უნივერსიტეტიდან (ცენტრთან ურთიერთშეთანხმებით).
2. კონკურსში მონაწილე მაგისტრანტი უნდა იყოს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე, საქართველოში ავტორიზებული უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი, რომელიც მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამისთვის საჭირო კვლევას განახორციელებს კონკურსით გათვალისწინებულ სამეცნიერო მიმართულებებში;
3. კონკურსში მონაწილე დოქტორანტი უნდა იყოს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე, საქართველოში ავტორიზებული უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი, რომელიც დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამისათვის საჭირო კვლევას განახორციელებს კონკურსით გათვალისწინებულ სამეცნიერო მიმართულებებში.
4. კონკურსში მონაწილეს იულიხის კვლევით ცენტრში უნდა ჰყავდეს სამეცნიერო სტაჟირების სამეცნიერო ხელმძღვანელი.
5. საგრანტო კონკურსში თითოეულ მონაწილეს შეუძლია მხოლოდ ერთი პროექტის წარმოდგენა.

მუხლი 3. ძირითადი პროგრამული მოთხოვნები

1. საკონკურსოდ წარმოდგენილი საგრანტო პროექტი უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ ამოცანებს:

   ა) სადიპლომო/სადისერტაციო ნაშრომის მომზადებასთან დაკავშირებული კვლევების განხორციელებას იულიხის ცენტრში;

   ბ) გრძელვადიანი თანამშრომლობის დამყარებას იულიხისა და გერმანიის სხვა სამეცნიერო ცენტრებისა და უნივერსიტეტების მეცნიერებთან;

   გ) სამაგისტრო/სადოქტორო თემასთან შინაარსობრივად მჭიდროდ დაკავშირებულ სამეცნიერო ღონისძიებაზე დასწრებას ევროკავშირში;

   დ) იულიხის ცენტრში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების დისემინაციას საქართველოში.
2. სამეცნიერო სტაჟირების ხანგრძლივობა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

   ა) მაგისტრანტებისათვის დაფინანსებული სამეცნიერო სტაჟირების ხანგრძლივობა შესაბამისობაში უნდა იყოს საქართველოს უნივერსიტეტებში მათი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმთან.

   ბ) დოქტორანტებისათვის დაფინანსებული სამეცნიერო სტაჟირების ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 წლამდე ვადით. დაფინანსებულ დოქტორანტს უფლება აქვს სამეცნიერო სტაჟირების ვადა გააგრძელოს არაუმეტეს 6 თვისა, დამატებითი დაფინანსების მოთხოვნის გარეშე. ვადის გაგრძელება შეთანხმებული უნდა იყოს ფონდთან და ცენტრთან და უნდა ეფუძნებოდეს მიმღები კვლევითი ინსტიტუტისა და იმ უნივერსიტეტის ოფიციალურ მოთხოვნას, რომელშიც ირიცხება დოქტორანტი. ცენტრში სამეცნიერო სტაჟირების ჯამური ხანგრძლივობა არ უნდა იყოს წელიწადში 8 თვეზე ან/და სემესტრში 4 თვეზე ნაკლები.

მუხლი 4. ძირითადი ფინანსური პირობები

1. პროექტის ბიუჯეტი შესაძლოა ითვალისწინებდეს შემდეგ მუხლებს/ხარჯვით კატეგორიებს:

ა) ფონდის მიერ ანაზღაურებად საერთაშორისო მგზავრობის ხარჯებს დანიშნულების ადგილამდე;

წელიწადში მაქსიმუმ ორი ორმხრივი მგზავრობა საქართველოსა და გერმანიას შორის (ეკონომიური კლასით);

ბ) ცენტრის მიერ ანაზღაურებად სამოგზაურო ხარჯებს, რომელიც დაფარავს ევროკავშირის ფარგლებში წელიწადში ერთ მოგზაურობას სამაგისტრო/სადოქტორო თემასთან შინაარსობრივად მჭიდროდ დაკავშირებულ სამეცნიერო ღონისძიებაზე დასასწრებად;

გ) ცენტრში ყოფნის პერიოდში ყოველთვიურ ფიქსირებულ სტიპენდიას, რომელიც დაფარავს საცხოვრებელი ბინის, დაზღვევის, შიდა ტრანსპორტირების, კვებისა და სხვა ხარჯებს.

2. სტიპენდია (ცენტრში ყოფნის პერიოდში ყოველთვიური ფიქსირებული ანაზღაურება) მაგისტრანტებისათვის შეადგენს 900 ევროს ეკვივალენტს ლარში, ხოლო დოქტორანტებისათვის – 1400 ევროს ეკვივალენტს ლარში.
3. ყოველთვიური სტიპენდიის 50%-ს ფარავს ფონდი, ხოლო 50%-ს – ცენტრი.
4. ფონდი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.

მუხლი 5. კონკურსზე რეგისტრაციის წესი და საკონკურსო დოკუმენტაცია

1. საგრანტო კონკურსში პროექტის რეგისტრაცია ხორციელდება ორ ეტაპად:

ა) რეგისტრაცია ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში - GMUS [Grants Management Unified System] (ბმული: http://gmus.rustaveli.org.ge) – 2023 წლის 8 ნოემბრიდან - 2023 წლის 24 ნოემბრის 18:00 საათამდე;

ბ) რეგისტრაცია ფონდის კანცელარიაში - „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ" წარმოდგენით (გენერირდება კონკურსის ელექტრონული ბაზიდან) – 2023 წლის 27 ნოემბრის 18:00 საათამდე.

გ) წარდგენილი საბუთების ტექნიკური ექსპერტიზა - 2023 წლის ნოემბერი.

2. ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში - GMUS უნდა დარეგისტრირდეს: კონკურსში მონაწილეობის მსურველი, მისი ხელმძღვანელი საქართველოდან, გამგზავნი ქართული უნივერსიტეტი და პროექტი. GMUS-ში რეგისტრაცია გულისხმობს ინფორმაციის შევსებასა და დოკუმენტების ატვირთვას PDF ფაილების სახით.
3. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა მაგისტრანტმა ან დოქტორანტმა GMUS-ში უნდა შექმნას „მეცნიერის პროფილი", შეავსოს ბიოგრაფიული მონაცემები ქართულ და ინგლისურ ენებზე და ატვირთოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი: მაგისტრანტისთვის - ბაკალავრის დიპლომი, დოქტორანტისათვის - მაგისტრის დიპლომი (ქართულად და თარგმანი ინგლისურად ან გერმანულად. თარგმანი დამოწმებული უნდა იყოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ);

ბ) ცნობა მაგისტრატურის/დოქტორანტურის პროგრამაზე სწავლის შესახებ გაცემული საქართველოს მხრიდან გამგზავნი უნივერსიტეტის მიერ 2023 - 2024 წლის შემოდგომის სემესტრის პერიოდში (ქართულად და ინგლისური თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ).

4. საქართველოდან გამგზავნ უნივერსიტეტს (რომელთანაც აფილირებულია კონკურსანტი და გასცემს მხარდაჭერის წერილს) GMUS-ში უნდა ჰქონდეს „ორგანიზაციის პროფილი";
5. კონკურსანტმა GMUS-ში იულიხის კვლევითი ცენტრში სამეცნიერო სტაჟირების კონკურსზე უნდა დაარეგისტრიროს „საგრანტო პროექტი", რისთვისაც საჭიროა ქართულ და ინგლისურ ენებზე წარმოადგინოს:

ა) კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ (ნიმუში - დანართი 2), რომელიც მოიცავს საგრანტო პროექტის საკვანძო ინფორმაციას გეგმა-გრაფიკისა და ბიუჯეტის მონაცემებით;

ბ) საგრანტო პროექტი და ცენტრში განსახორციელებელი სამეცნიერო კვლევის გეგმა, რომელიც დაბეჭდილია ცენტრის ოფიციალურ ლოგოიან ფურცელზე და ხელმოწერილია სამეცნიერო სტაჟირების სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ იულიხის ცენტრიდან (დასკანირებული ინგლისური ვერსია და ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ);

გ) კონკურსში მონაწილის ბიოგრაფია (CV) (ნიმუში - დანართი 3, გენერირებული GMUS-ის „მეცნიერის პროფილიდან“);

დ) სარეკომენდაციო წერილი - მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელისგან საქართველოდან გამგზავნი უნივერსიტეტიდან (ინგლისური და ქართული ვერსიები ხელმოწერილი ხელმძღვანელის მიერ);

ე) მოწვევის წერილი - ცენტრის მასპინძელ ინსტიტუტში გრანტის მაძიებლის ხელმძღვანელის (დაწესებულების/იურიდიული პირის) უფლებამოსილი პირის მხრიდან გაცემულ ოფიციალური წერილის დასკანირებული ინგლისური ვერსია და ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ; იულიხის ცენტრის ინსტიტუტში მომუშავე მეცნიერის მიერ ხელმოწერილი მოწვევა (მეცნიერ-ხელმძღვანელობაზე თანხმობა) წარმოდგენილი უნდა იყოს იულიხის ოფიციალურ შტამპიან ქაღალდზე (მისამართის, ტელეფონის, ფაქსისა და ელექტრონული ფოსტის მითითებით). მოწვევა ნათლად უნდა განსაზღვრავდეს დაგეგმილი კვლევითი სტაჟირების ვადებს;

ვ) სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი: მაგისტრანტისთვის - ბაკალავრის დიპლომი, დოქტორანტისათვის - მაგისტრის დიპლომი (ქართულად და თარგმანი ინგლისურად, ან გერმანულად. თარგმანი დამოწმებული უნდა იყოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ);

ზ) ცნობა მაგისტრატურის/დოქტორანტურის პროგრამაზე სწავლის შესახებ გაცემული საქართველოს მხრიდან გამგზავნი უნივერსიტეტის მიერ 2023-2024 წლის შემოდგომის სემესტრის პერიოდში (ქართულად და ინგლისური თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ);

თ) გერმანული ან ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელი საბუთი - სერტიფიკატი, ან შესაბამისი ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ინგლისურად ან გერმანულად, რომელსაც თან ახლავს მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ; ინგლისური ან გერმანული ენის ცოდნის დამადასტურებელი საბუთი შეიძლება გაცემული იყოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ).

6. საკონკურსო დოკუმენტაცია GMUS-ში იტვირთება PDF ფაილის სახით.
7. პროექტის რეგისტრაციის დასრულების შემდგომ პროექტს ენიჭება უნიკალური შიფრი.
8. ფონდის კანცელარიაში რეგისტრაციისათვის კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ (ნიმუში - დანართი 4, გენერირდება GMUS-დან) შესაბამისად შევსებული და ხელმოწერით დამოწმებული.
9. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გრანტის მიმღებმა ფონდის კანცელარიაში უნდა წარმოადგინოს:

   ა) მოწვევის წერილის ორიგინალი;

   ბ) საგრანტო პროექტი და ცენტრში განსახორციელებელი სამეცნიერო კვლევის გეგმის ორიგინალი;

   გ) მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები – ამ პროექტისათვის გახსნილი მიზნობრივი საბანკო ანგარიშის ნომერი, რომელზეც ჩაირიცხება გრანტის თანხა და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

10. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ამ ბრძანებით დამტკიცებული წესების, ფორმებისა და ვადების დაცვით.
11. საკონკურსოდ განიხილება მხოლოდ ის პროექტი, რომელსაც დადგენილი ვადებისა და წესების დაცვით გავლილი აქვს ელექტრონული რეგისტრაცია და კონკურსის ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი აქვს შესაბამისი „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ.“

12. პროექტის სრულყოფილად წარმოდგენაზე, ქართული და ინგლისური ვერსიების იდენტურობასა და თარგმანის ხარისხზე პასუხისმგებელია კონკურსში მონაწილე.

მუხლი 6. კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსის ადმინისტრირების ეტაპებია:

   ა) საგრანტო კონკურსის გამოცხადება;

   ბ) საგრანტო პროექტების წარდგენა/კონკურსში რეგისტრაცია;

   გ) საგრანტო პროექტების კონკურსის პირობებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და დადგენილი ხარვეზების გამოსწორება;

   დ) საგრანტო პროექტების ცენტრში გადაგზავნა;

   ე) ცენტრის მიერ დასაფინანსებელი საგრანტო პროექტების შერჩევა;

   ვ) გამარჯვებული საგრანტო პროექტების წარდგენა ფონდისთვის დასამტკიცებლად;

   ზ) გამარჯვებულ კონკურსანტებთან საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება;

2. ფონდი უფლებამოსილია კონკურსზე წარმოდგენილ პროექტზე დართული დოკუმენტების ტექნიკური ექსპერტიზის საფუძველზე დაადგინოს ხარვეზი და იმოქმედოს კანონის შესაბამისად.
3. ფონდი უფლებამოსილია საგრანტო კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტი, რომელიც არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებს, არასრულყოფილია ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას.

მუხლი 7. პროექტების შეფასება

კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი რეგისტრირებული პროექტების შეფასება და კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა განხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის №226/ნ ბრძანების მე-8 მუხლში განსაზღვრული წესებით.

მუხლი 8. საგრანტო ხელშეკრულება

1. დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს გრანტის მიმღებებთან საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმებას, რომელშიც დეტალურად გაიწერება ურთიერთვალდებულებათა პირობები.
2. საგრანტო ხელშეკრულება გაფორმდება კონკურსში გამარჯვებულებთან, რომლებიც წარმოადგენენ ამ პირობების მე-5 მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებს.
3. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ პროექტის საგრანტო დაფინანსება ხორციელდება 6-თვიანი ტრანშების სახით. გრანტის თანხები გადაირიცხება პროექტის მიზნობრივ ანგარიშზე ავანსის სახით. პირველი ტრანში გადაირიცხება ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. ყოველი მომდევნო ტრანში გადაირიცხება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის შუალედური ანგარიშების განხილვის აქტის საფუძველზე. საანგარიშო პერიოდის ხანგრძლივობა შეადგენს 6 თვეს.

მუხლი 9. პროექტის შესრულების მონიტორინგი

1. გრანტის მიმღები ვალდებულია ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმების შესაბამისად ფონდს წარუდგინოს პროექტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამული აქტივობებისა და გაწეული ხარჯების დოკუმენტირებული ანგარიში.

2. ფონდი ახორციელებს დაფინანსებული პროექტების საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგს (შემდგომში - მონიტორინგი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის №226/ნ ბრძანების მე-10 მუხლში განსაზღვრული წესებით.
3. შუალედური და საბოლოო ანგარიშის განხილვისას საგრანტო პროექტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში გრანტის მიმღებს განესაზღვრება ხარვეზის გამოსწორების გონივრული ვადა. საგრანტო ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება შესაძლებელია გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. მოთხოვნილი ცვლილება უნდა იყოს დაკავშირებული პროექტით გათვალისწინებულ მიზნებსა და ამოცანების შესრულებასთან.

მუხლი 10. დამატებითი მოთხოვნები გრანტის მიმღებთა მიმართ

1. სავალდებულოა, გრანტის მიმღებმა დოქტორანტმა პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის მასალებზე დაყრდნობით გამოაქვეყნოს მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატია საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემებში ან წარმოადგინოს ცნობა სტატიის გამოსაქვეყნებლად მიღების შესახებ. საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემად ფონდის მიერ განიხილება ის ჟურნალები, წიგნები და კრებულები, რომლებიც ინდექსირებულია: Scimago Journal Ranking და Impact Factor რეიტინგებში ან/და Elsevier (Scopus და Science Direct) Web of Science, ERIH plus. სასურველია სტატია გამოქვეყნდეს სტაჟირების სამეცნიერო ხელმძღვანელის თანაავტორობით.
2. გრანტის მიმღები ვალდებულია, საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგების ამსახველ პუბლიკაციებში (სტატია, მონოგრაფია, საკონფერენციო აბსტრაქტი და ა.შ.) მიუთითოს, რომ კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი ...]“ / „This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number ...]“. იმ შემთხვევაში, თუ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში არ იქნება ასახული ზემოაღნიშნული ინფორმაცია, წარმოდგენილი დოკუმენტი არ განიხილება ფონდის მიერ პროგრამული მონიტორინგის განხორციელებისას. ერთ სტატიაზე შესაძლებელია მითითებული იყოს ფონდის მიერ გაცემული მხოლოდ ერთი გრანტის ნომერი.
3. საგრანტო პროექტის ფარგლებში შექმნილ ვიზუალურ პროდუქციაზე (ნაბეჭდ, ფოტო, აუდიო, ვიდეო, ელექტრონულ პროდუქციაზე და ვებგვერდზე) სავალდებულოა განთავსდეს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ლოგო და მითითებული იყოს, რომ საგრანტო პროექტი განხორციელდა “შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით”.
4. ფონდი უფლებამოსილია გრანტის მიმღებთა მიერ წარდგენილი პროექტის აბსტრაქტი, პროგრამული ანგარიშები და ბეჭდვითი ან/და ვიზუალური მასალები გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ანგარიშში, ბეჭდვით და ელექტრონულ გამოცემებში, განათავსოს ფონდის ვებგვერდებზე.
5. გრანტის მიმღები ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ერთ საერთაშორისო კონფერენციაში, სიმპოზიუმში ან სამუშაო შეხვედრაში.
6. გრანტის მიმღები ვალდებულია ჩაატაროს საქართველოს სკოლებში მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის, კვლევის შედეგებზე დაფუძნებული ორი სემინარი საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.

ივსება გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS (Grants Management Unified System) პროექტის რეგისტრაციის დროს

კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ

I გვერდი

ზოგადი ინფორმაცია
General Information

აუცილებელი ველები აღნიშნულია (*) ვარსკვლავით

1 *	პროექტის სახელწოდება ქართულად	
	Project title in English	
2 *	საგრანტო პროექტი და ცენტრში განსახორციელებელი სამეცნიერო კვლევის გეგმა	PDF ფაილის ატვირთვა
	Research plan	PDF file upload
3 *	პროექტის რეზიუმე	რეკომენდებული სიტყვების რაოდენობა - 300 სიტყვა
	Project Resume	Recommended word count - 300
4 *	ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ევრო)	
	Requested funding from SRNSFG (EURO)	
5	იულიხის ცენტრიდან მოთხოვნილი თანხა (ევრო)	
	Total requested funding from JÜLICH centre (EURO)	
6 *	პროექტის საერთო ბიუჯეტი (ევრო)	
	Total budget (EURO)	
7 *	სტაჟირების დაწყების თარიღი (თვე, წელი)	
	Internship Start Date (month, year)	
8 *	პროექტის ხანგრძლივობა (თვეები)	6,12,18,24,30,36
	Project duration (months)	

9 * სამეცნიერო მიმართულებები **Scientific fields**	
პროექტის ძირითადი სამეცნიერო მიმართულება	1. მათემატიკური მეცნიერებები 2. საინფორმაციო ტექნოლოგიები 3. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები 4. საინჟინრო მეცნიერებები 5. სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები
Scientific field	1. Mathematics 2. Information Technologies 3. Natural Sciences 4. Engineering Sciences 5. Life Science and Health
სამეცნიერო ქვემიმართულება	
Scientific Sub-field	

II გვერდი

ორგანიზაცია
Organization

1 * ინფორმაცია საქართველოდან გამგზავნი უნივერსიტეტის შესახებ Information on the sending university		
1	საქართველოს უნივერსიტეტის საიდენტიფიკაციო კოდი	
	Sending university ID	
2	უნივერსიტეტის დასახელება	
	Title of the sending university	
3	იურიდიული სტატუსი (სსიპ, ა(ა)იპ, შპს-უსდ)	
	Legal status (LEPL, NNLE, LTD-HEI)	
4	ვებგვერდი	
	Webpage	
5	სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამის სახელწოდება	
	Master/PhD program title	
6	სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი (სახელი, გვარი)	
	Head of the Master/ PhD Programme (Name, Surname)	

2 * ინფორმაცია იულიხის ცენტრიდან მასპინძელი ინსტიტუტის შესახებ Information on the Host Institute in Jülich		
1	იულიხის ცენტრიდან მასპინძელი ინსტიტუტის სახელწოდება	
	Host institution title in Jülich centre	
2	ვებ-გვერდი	
	Website	
3	მისამართი	
	Address	

III გვერდი

პერსონალი
Personnel

1 * ინფორმაცია კონკურსში მონაწილის შესახებ
Information about the student

1	სტუდენტის პირადი ნომერი	
	Student's ID	
2	სტუდენტის სახელი, გვარი	

	Student Name, Surname	
3	აკადემიური სტატუსი	აირჩიე: მაგისტრანტი, დოქტორანტი
	Academic status	Master student, PhD student
4	დაბადების თარიღი (დღე, თვე, წელი)	
	Date of birth (day, month, year)	
5	სქესი	აირჩიე: (მდედრობითი, მამრობითი)
	Gender	male, female
6	ელ.ფოსტა	
	E-mail	
7	ტელეფონი	
	Telephone	
8 *	ბიოგრაფია	PDF ფაილის ატვირთვა
	CV	PDF file upload
9	გერმანული ან ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელი საბუთი	PDF ფაილის ატვირთვა
	Certificate of ability to communicate in German and/or English language	PDF file upload
10	ყველაზე მაღალი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი	PDF ფაილის ატვირთვა
	Certificate of the highest previous scientific degree	PDF file upload
11	სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი	PDF ფაილის ატვირთვა
	Reference	PDF file upload

2 * ინფორმაცია სტუდენტის ხელმძღვანელის შესახებ საქართველოდან
Information about the thesis supervisor from Georgia

1	ხელმძღვანელის პირადი ნომერი	
	Supervisor's ID	
2	ხელმძღვანელის სახელი, გვარი	
	Supervisor's Name, Surname	
3	ელ.ფოსტა	
	E-mail	
4	ტელეფონი	
	Telephone	
5 *	სარეკომენდაციო წერილი	PDF ფაილის ატვირთვა
	Letter of recommendation of the sending university (supervisor) in Georgia	PDF file upload

3 * ინფორმაცია სტუდენტის ხელმძღვანელის შესახებ იულიხის ცენტრიდან
Information about the thesis supervisor from JÜLICH centre

1	ხელმძღვანელის სახელი, გვარი	
	Supervisor's Name, Surname	
2	ელ.ფოსტა	

	E-mail	
3	ტელეფონი/ფაქსი	
	Telephone/Fax	
4	სამეცნიერო ხელმძღვანელის ინსტიტუციური ვებ-გვერდი	
	Webpage	
5 *	მოწვევის წერილი (დამოწმებული ქართული თარგმანი)	PDF ფაილის ატვირთვა
	Official invitation letter of the host institute (supervisor) of Jülich	PDF file upload

IV გვერდი
გეგმა-გრაფიკი
Project Timeframe

1 * პროექტის მიზნებისა და ამოცანების განხორციელების შედეგების გეგმა-გრაფიკი

შედეგის №	შედეგის დასახელება	შედეგის მოკლე აღწერა	საანგარიშო პერიოდი (6 თვე)
1	**აირჩიე:** • სამეცნიერო ლიტერატურაზე მუშაობა • ექსპერიმენტის განხორციელება • სადიპლომო/სადისერტაციო ნაშრომის მომზადება • თანამშრომლობის დამყარება გერმანელ მეცნიერებთან • სტატიის გაგზავნა რეიტინგულ ჟურნალში • სტატიის გამოქვეყნება/ გამოქვეყნებაზე თანხმობის მიღება რეიტინგულ ჟურნალში • სტატიის გაგზავნა არარეიტინგულ ჟურნალში • სტატიის გამოქვეყნება/ გამოქვეყნებაზე თანხმობის მიღება არარეიტინგულ ჟურნალში • საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაზე დასწრება ევროკავშირში • ინტელექტუალური საკუთრების რეგისტრაცია (პატენტი, დიზაინი, საავტორო უფლება, სასაქონლო ნიშანი, გეოგრაფიული აღნიშვნა, ახალი ჯიში) • იულიხის ცენტრში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე საქართველოს სკოლებში მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის ორი სემინარის ჩატარება		აირჩიე: I, II, III, IV, V, VI
2			

3			
n			

Deliverables timeframe

Deliverable №	Deliverable title	Brief description of deliverables	Reporting period (6 month period)
1	Select: · Working with Scientific Literature · Perform Experiment · Thesis/Dissertation Preparation · Collaboration with German Scientists · Send article in a peer-reviewed journals · Publish article/article accepted for publication in a peer-reviewed journals · Send article in a non peer-reviewed journals · Publish article/article accepted for publication in a non peer-reviewed journals · Participation in international event in EU area · Submit patent application · Based on knowledge and experience gained during visit, conducting two seminars in Georgian schools, for teachers and school students		Select: I, II, III, IV, V, VI
2			
3			
n			

V გვერდი
ბიუჯეტი (დოქტორანტებისთვის)
Budget (For PhD students)

	ხარჯვის კატეგორიები Categories of expenditure	ხარჯვა საანგარიშო პერიოდების მიხედვით Expenditures by reporting periods						ჯამი (ევრო) Sum (EURO)
		1	2	3	4	5	6	
1	ცენტრში ყოფნის პერიოდში ყოველთვიური ანაზღურება (სტიპენდია) Monthly salary (scholarship) during the stay in The JÜLICH centre							
1.1	ცენტრში ყოფნის პერიოდში ყოველთვიური ანაზღურება (სტიპენდია) - ფონდიდან მოთხოვნილი							

	Monthly salary (scholarship) during the stay in The JÜLICH centre - requested funding from SRNSFG							
1.2	ცენტრში ყოფნის პერიოდში ყოველთვიური ანაზღურება (სტიპენდია) - JÜLICH ცენტრიდან მოთხოვნილი Monthly salary (scholarship) during the stay in The JÜLICH centre - requested funding from JÜLICH centre							
2	საერთაშორისო მგზავრობა (საქართველო-გერმანია, ორმხრივი მგზავრობა წელიწადში მაქსიმუმ ორჯერ) - ფონდიდან მოთხოვნილი International travel expenses (Up to two round trips a year between Georgia and Germany) - requested funding from SRNSFG							
3	ევროკავშირის ფარგლებში სამეცნიერო ღონისძიებაზე მგზავრობისა და მონაწილეობის ხარჯი - JÜLICH ცენტრიდან მოთხოვნილი Travel expenses within the EU for participation in a scientific event - requested funding from JÜLICH centre							
	სულ ფონდიდან მოთხოვნილი თანხა Total requested funding from SRNSFG							
	სულ JÜLICH ცენტრიდან მოთხოვნილი თანხა Total requested funding from JÜLICH centre							
ჯამი Total								

1. ცენტრში ყოფნის პერიოდში ყოველთვიური ანაზღაურება - სტიპენდია საანგარიშო პერიოდში არ უნდა აღემატებოდეს ჯამში 8400 ევროს;

2. ფონდიდან მოთხოვნილი ცენტრში ყოფნის პერიოდში ყოველთვიური ანაზღაურება - სტიპენდია საანგარიშო პერიოდში არ უნდა აღემატებოდეს 4200 ევროს;

3. JÜLICH ცენტრიდან მოთხოვნილია ცენტრში ყოფნის პერიოდში ყოველთვიური ანაზღაურება - სტიპენდია საანგარიშო პერიოდში არ უნდა აღემატებოდეს 4200 ევროს;

4. თითოეულ საანგარიშო პერიოდში ფონდიდან და JÜLICH ცენტრიდან მოთხოვნილი ყოველთვიური ანაზღაურება - სტიპენდია უნდა იყოს თანაბარი.

V გვერდი

ბიუჯეტი (მაგისტრანტებისთვის)

Budget (For Master Students)

	ბიუჯეტის მუხლი/ ხარჯვითი კატეგორია	**I პერიოდი**	**II პერიოდი**	**III პერიოდი**	**IV პერიოდი**	**ჯამი**
1	ცენტრში ყოფნის პერიოდში ყოველთვიური ანაზღურება (სტიპენდია)					
1.1	ცენტრში ყოფნის პერიოდში ყოველთვიური ანაზღურება (სტიპენდია) - **ფონდიდან მოთხოვნილი**					
1.2	ცენტრში ყოფნის პერიოდში ყოველთვიური ანაზღურება (სტიპენდია) - **JÜLICH ცენტრიდან მოთხოვნილი**					
2	საერთაშორისო მგზავრობა (საქართველო-გერმანია, ორმხრივი მგზავრობა წელიწადში მაქსიმუმ ორჯერ) - **ფონდიდან მოთხოვნილი**					
3	ევროკავშირის ფარგლებში სამეცნიერო ღონისძიებაზე მგზავრობისა და მონაწილეობის ხარჯი - **JÜLICH ცენტრიდან მოთხოვნილი**					
	სულ ფონდიდან მოთხოვნილი თანხა					
	სულ JÜLICH ცენტრიდან მოთხოვნილი თანხა					
	ჯამი					

1. ცენტრში ყოფნის პერიოდში ყოველთვიური ანაზღაურება - სტიპენდია საანგარიშო პერიოდში არ უნდა აღემატებოდეს ჯამში 5400 ევროს;

2. ფონდიდან მოთხოვნილი ცენტრში ყოფნის პერიოდში ყოველთვიური ანაზღაურება - სტიპენდია საანგარიშო პერიოდში არ უნდა აღემატებოდეს 2700 ევროს;

3. JÜLICH ცენტრიდან მოთხოვნილი ცენტრში ყოფნის პერიოდში ყოველთვიური ანაზღაურება - სტიპენდია საანგარიშო პერიოდში არ უნდა აღემატებოდეს 2700 ევროს;

4. თითოეულ საანგარიშო პერიოდში ფონდიდან და JÜLICH ცენტრიდან მოთხოვნილი ყოველთვიური ანაზღაურება - სტიპენდია უნდა იყოს თანაბარი;

დანართი 3

ივსება გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში (Grants Management Unified System) მეცნიერის რეგისტრაციის დროს

პირადი ინფორმაცია

პირადი ნომერი:

სრული სახელი:

სქესი:

დაბადების თარიღი:

მოქალაქეობა:

საკონტაქტო ინფორმაცია

ელ.ფოსტა:

მობილურის ნომერი:

ქვეყანა:

ქალაქი:

მისამართი:

ენები

ენა	წერა	კითხვა	მეტყველება

განათლება

უმაღლესი აკადემიური ხარისხი/სტატუსი

აკადემიური ხარისხი/სტატუსი:

მინიჭების თარიღი:

მიღებული განათლება

აკადემიური ხარისხი/ სტატუსი	დაწესებულების დასახელება	ქვეყანა	სპეციალობა	დაწყების წელი	დასრულების წელი

ტრენინგები/სემინარები/სასწავლო კურსები

ორგანიზაციის დასახელება	ტრენინგის / სემინარის / სასწავლო კურსის თემა	დაწყების წელი	დასრულების წელი

პროექტები

მიმდინარე პროექტები

პროექტის დასახელება	პოზიცია	პროექტის ხელმძღვანელი	დაწყების თარიღი	დონორი

დასრულებული პროექტები

პროექტის დასახელება	პოზიცია	პროექტის ხელმძღვანელი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	დონორი

სამეცნიერო მიმართულებები

ძირითადი მიმართულებები

მიმართულება:

ქკე-მიმართულება:

კატეგორია:

დასაქმების ისტორია

მიმდინარე სამუშაო ადგილ(ებ)ი

სამუშაო ადგილი	სტრუქტურული ერთეულის დასახელება	თანამდებობა	მოვალეობები	დაწყების თარიღი

სამეცნიერო პროდუქტიულობა

პატენტები

დასახელება	გამცემი ორგანიზაცია	სარეგისტრაციო ნომერი	გაცემის წელი

სხვა პროდუქტები

პროდუქტის ტიპი	სარეგისტრაციო ნომერი	გაცემის წელი

სტატია / მონოგრაფია / სახელმძღვანელო

ტიპი	ავტორ(ებ)ი	სათაური	ჟურნალი	წელი

სტიპენდიები და ჯილდოები

სტიპენდიის/ჯილდოს დასახელება	გამცემი	მიღების წელი

სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა

სამეცნიერო ფორუმის დასახელება	მოხსენების სათაური	ჩატარების ადგილი	წელი

პროდუქტიულობის მაჩვენებელი

#	ციტირების ინდექსი	h-ინდექსი
Google Scholar		
Web-of-Science		
Scopus		

Personal information

ID Number:

Full name:

Gender:

Date of birth:

Citizenship:

Contact Details

Email address:

Call number:

Country:

City:

Address:.

Languages

Language	Writing	Reading	Speaking

Education

Academic degree

Academic Degree:

Year obtained:

Education

Academic Degree	Name of the Institution	Country	Major discipline	Start year	End year

Trainings / Seminars / Training courses

Training / Seminar / The theme of the course	Organization name	Start year	End year

Projects

Ongoing projects

Project title	Position	Project head	Start Date	Donor

Completed projects

Project title	Position	Project head	Start Date	End Date	Donor

Scientific Fields

Main Field

Field:

Sub-Field:

Subject area:

Employment History

Current place(s) of employment

Workplace	Name of the work department	Position	Main responsibilities	Start Date

Scientific Productivity

Patents

Patent name	Issuing organization	Registration number	Year of Issue

Other products

Product Type	Registration number	Year of Issue

Article / Monograph / Manual

Type	Authors	Publication title	Source title	Year

Scholarships and awards

Scholarships/awards name	Issuer	Year of Issue

Participation in scientific events

Scientific event name	Title of the presentation	Event venue	Year

Productivity index

#	Citation index	h-index
Google Scholar		
Web-of-Science		
Scopus		

JFZ_23_

სარეგისტრაციო შიფრი

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის შესახებ

განცხადება

წარმოგიდგენთ რა ინფორმაციას კონკურსში მონაწილეობის შესახებ, ვადასტურებ, რომ გავეცანი სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2023 წლის 7 ნოემბრის N163 ბრძანებას „სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი საგრანტო კონკურსის გამოცხადებისა შესახებ“ და ხელმოწერით ვაცხადებ კონკურსის პირობებზე თანხმობას. ასევე, ვადასტურებ, რომ ჩემ მიერ ელექტრონულ ბაზაში და ფონდის კანცელარიაში წარმოდგენილი ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს. ვეთანხმები, რომ ფონდი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გადაამოწმოს ამ ინფორმაციის სიზუსტე და რაიმე სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში, მოხსნას განაცხადი კონკურსიდან.

გთხოვთ, დაარეგისტრიროთ ჩემი განაცხადი სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივ საგრანტო კონკურსში მონაწილეობისთვის.

1. **განმცხადებლის სახელი, გვარი:**
2. **სტატუსი:** მაგისტრანტი/დოქტორანტი
3. **პროექტის სათაური:**
4. **საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება**
5. **მასპინძელი ინსტიტუტი იულიხის ცენტრიდან:**
6. **ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება (ევრო):**
7. **პროექტის დაწყების დრო:**
8. **პროექტის ხანგრძლივობა (თვეები):**

ხელმოწერა:

თარიღი: